საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/85

ქ. ბათუმი 28 აპრილი, 2023 წ.

2023 წლის მაისში ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 24 მარტის N01-02/55 ბრძანებისა და „ბსუ-ს რექტორის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 26 აპრილის N01-14/159 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2023 წლის მაისში ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. დამტკიცდეს **საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები საპროცედურო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) ხათუნა ხალვაში - (საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) უფროსი, თავმჯდომარე);
ბ) დარეჯან ბარაბაძე - (საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მთავარი სპეციალისტი);
გ) დალი კახიძე - (საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მთავარი სპეციალისტი).

1.2. **საპროცედურო კომისია ვალდებულია:**
ა) საპროცედურო კომისიის სამუშაო ოთახში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსი, ოთახი N2) მიიღოს კონკურსანტების საკონკურსო განცხადებები, ანკეტები და შესაბამისი დოკუმენტაცია, 2023 წლის 01 მაისიდან 02 მაისის ჩათვლით, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე (მატერიალური სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია კომისიის მიერ მიღებული იქნეს მას შემდეგ, როცა დადასტურდება ამ დოკუმენტაციის ელექტრონულ მისამართზე -

bsukonkursi2022@bsu.edu.ge 2023 წლის 01 მაისიდან 02 მაისის ჩათვლით გადმოგზავნა და მიღება);

გ) საპროცედურო კომისიაში მიღებული დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადასცეს არაუგვიანეს 2023 წლის 03 მაისის 11:00 საათისა;

გ) დარეგისტრირებული საკონკურსო განცხადებების (საკონკურსო ადგილი და კონკურსანტები) შესახებ ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე;

დ) კონკურსანტთა საჩივრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიიღოს საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღისა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე;

ე) ელექტრონულ მისამართზე - bsukonkursi2022@bsu.edu.ge) გადმოგზავნილი კონკურსანტთა დოკუმენტაცია შეინახოს ელექტრონულ მატარებელზე და საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს საკონკურსო/სააპელაციო კომისიას;

ვ) შემოსული საჩივრები, იმავე სამუშაო დღის 17:00 სთ-მდე გადასცეს სააპელაციო კომისიას, მათი შემოტანიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში განხილვის უზრუნველსაყოფად;

ზ) სააპელაციო კომისიის თხოვნის საფუძველზე გამოცხადდეს ამ კომისიის სხდომაზე და მისცეს განმარტებები, თუკი აღნიშნული უკავშირდება კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებს;

თ) უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 24 მარტის N 01-02/55 ბრძანებისა და წინამდებარე ბრძანებით.

2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უზრუნველყოფილი იქნეს საკონკურსო და სააპელაციო (არსებობის შემთხვევაში) კომისიები წინასწარ გამოყოფილი სამუშაო ოთახებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ინვენტარით.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, საქმისწარმოების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, კომისიის წევრებს და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

რექტორი მოადგილე, პროფესორი
(რექტორის მოვალეობის შემსრულებელი) **ანზორ ბერიძე**